ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ებ ა

ბრძანება:**ბ74. 74240663**

თარიღი:**06/03/2024**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54- ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დაგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, დანართის შესაბამისად.
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა, უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის გამოცხადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ქონების გეგმა

N	ობიექტის დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი მ²	შენობა-ნაგებობის ფართობი მ²	საწყისი საპრივატიზებო ფასი	აუქციონის პირობა
1	ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. N57 (ძველი საავადმყოფო)	ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. N57	39.01.30.018	13310	5574 მ² და 168 მ²	1 290 000	მიწის ნაკვეთის გაწმენდა არსებული ნანგრევებისაგან და ტერიტორიის მოწესრიგება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში
2	კუნძული ტყიბულის წყალსაცავზე	ტყიბული, სოფ მანჭიორი	39.03.32.271	21421		120 000	1. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 წლის განმავლობაში: ✓ ტერიტორიის მოწესრიგება; ✓ ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა; ✓ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; ✓ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება. 2. შემსყიდველმა პირველ პუნქტში წარმოდგენილი სამუშაოებისთვის - "ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა", უნდა დაასრულოს 4 წლის განმავლობაში და განახორციელოს არანაკლებ 1.000.000 (ერთიმილიონი) ლარის ინვესტიცია შემდეგი პერიოდულობით: • ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში - 500.000 (ხუთასიათასი) ლარი; • ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 4 წლის განმავლობაში ჯამურად - 1.000.000 (ერთიმილიონი) ლარი; • აუქციონზე შეძენილი ქონების საფასურის გადახდა შემძენმა უნდა განახორციელოს ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში; აუქციონის პირობებიდან ნებისმიერი ერთ-ერთი მათგანის შეუსრულებლობის, ან ვადის გადაცილების შემთხვევაში, ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, სადაც განსაზღვრული იქნება დარღვევის გამოსწორების ვადა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა. გაფრთხილების გაუთვალისწინებლობა და პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს აუქციონის შედეგების გაუქმებას. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქონების შემძენს გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯი არ აუნაზღაურდება.
3	ქ. ტყიბულში ტყვარჩელის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქუჩა	39.03.24.300	300		7000	ტერიტორიის მოწესრიგება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში